იმერეთი

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მოწერა გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ, სახლთან ერთად წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვანტირის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ტექსტის ნრნ. 20 კ., უკან 10 კ. სამკლოვიანო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სღამის 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

სამშაბათი 26 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედ.—ადმ. „იმერეთი“ თეოდოსის ქუჩა, ფარიდოვის თეშაქის ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 138 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 138

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 დისათვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური.

წლიური დასაკეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვისაც—ორი მანეთი. სახლვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაკავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვეველად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

უდიდესი

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ქ. ქუთაისში

კოსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამს.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს შრშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად საღავათიან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო, ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა**, რომელსაც მიღებული აქვს საკონელი პირდაპირ რუსეთისა და სახლვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება **ძლიერ იაფათ.** აქვე გახსნილია რვეულების საბა კეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:

1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. სააზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული) . „ 1 მან.
6. უზნაძე. მაჰმადი . . . . . „ 3 შაური.
7. მისივე. ისლამი. . . . . „ 3 „
8. მოძრავი ანბანი . . . . . „ 2 „
9. იგივე კარდონზე . . . . . „ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო . . ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . „ 3 აბაზი.
3. მისივე მოკლე გრამატიკა . . . . . „ 1 „
4. ს. რომაქიძე. სამშობლოს აღწერა . . . . „ 10 შ.
5. მლ. ა. გერსამია. ლოკანი . . . . . „ 2 „.
6. ალ. ჯიქინაძე. გეოგრაფია . . . . . „ 3 აბ.
7. დათუშიძე. ქართული წერის დედანი. . . . „ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . . „ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. „ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . „ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქართული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორების მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამს. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი **საკუთარი** ამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიბაშვილისა . . . . ფ. 1 აბაზი
„ლოკანი“ მღვდ. პლ. ცქიტაშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

მინადორა დუნდუას

ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,

გადავიდა

ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში. ბავშვების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დღის 9 სათ. 2 საათ.

ქალთა კერძო გიმნაზია

მ. ყუბანეიშვილისა

აცხადებს, რომ ხელახალი გამოცდა დაიწყო 23-ს მარიობისთვეს. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

ექიმის ი. ბოკერიას

საავათმყოფო

გადაყვიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მისეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

შექსპირი ქართულად!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ

შექსპირის

რვა ტრაგედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). -გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემს დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** c შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

ექიმი **გრიგოლ ალშიბაია** უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

ექიმი **მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დღის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი

ექიმის ბაბრიელ იოსების ძის გოკიელისა შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფოთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქის **საავთმყოფოს ორდინატორი.** გინაანლა კანის, ვენერიული და **სიფილისიან ავათმყოფების** მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და **საშარდე** სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანაოება (ცისტოსკოპით) თთაშინგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 **საათ.**

მისამართი: ქარავსლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ა. ცვეტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. **ხელოვნური** კბილების **გაკეთება.**

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახახინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებანი) დილით 9—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ ფფთიაქის პირდაპირ).

დოკტორი მედიცინისა, **პრივატ-დოკენტი გ. ჰ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

Пріѣзжій

интелигентный молодой

ЧЕЛОВѢКЪ,

окончившій консерваторію, преподаетъ уроки на скрипкѣ.

Балахванская ул. д. Воронова.

3—3

დიდ მნიშვნელოვანი საკითხი.

კერძო სასწავლებლების გახსნის შესახებ კანონი, სათათვისოა და სახელმწიფო საბჭოში გატარებული, 1 ივლისს უმაღლესად დამტკიცდა.

ეს კანონი დიდ ნაბიჯს წარმოადგენს ენათა გათანასწორებისაკენ.

მისი ძალიან ძლიერ გადავლებულია კერძო სასწავლებელთა გახსნა.

ამგვარი სასწავლებლების დაარსება შეუძლიათ: საქალაქო და საერობო თვითმართველობათ, კერძო ამხანაგობათ და კერძო პირთ.

მეორე: დამაარსებელს ყოველგვარი ტიპის სასწავლებლის დაარსება შეუძლია: მდაბალის, საშუალოსი და უმაღლესისა, საზოგადო განმანათლებელისა, სპეციალურისა და შერეული პროგრამისა; ისტორიასაკ კი, რომელშიაც ორივე სქესის მოსწავლენი ერთად სწავლობენ; პანსიონიურთი, და სხ.

შეუძლია აგრეთვე დაარსება კურსებისა და კლასებისა.

მესამე: კერძო სასწავლებელში, რომელსაც არ ეძნება სახელმწიფო სასწავლებლის უფლება, სწავლა შეიძლება სწარმოებდეს დედა-ენაზე.

მეოთხე: ვისაც სურს სასწავლებლის დაარსება, უნდა წარადგინოს თხოვნა, სადაც ჯერ არს, კანონიერი ფორმით და, თუ ორი თვის (მდაბალი სასწავლებლისთვის) ან სამი თვის (საშუალო და უმაღლესი სასწავლებლისთვის) განმავლობაში არ მოუვიდა უარი სათანადო მთავრობისაგან, ნება ეძნება გახსნას სასწავლებელი. მხოლოდ ორი გამორიცხეა საზღვრავს დედა-ენის უფლებას: 1) ქალაქის ან ერობის ხარჯით დაარსებულ სასწავლებლებში სწავლა უნდა სწარმოებდეს სახელმწიფო ენაზე და 2) კერძო სასწავლებელში მასწავლებლობის უფლება არ ეძნება მას, ვინც კერძო სასწავლებელი დაასრულა, თუ სახელმწიფო სასწავლებლის ატესტატი ან დიპლომი არ აქვს.

მაგრამ, იმედია, ბოლოს ამ განსაზღვრასაც ალარ ეძნება ადგილი. დღევანდელი კანონი კი, შედარებით, დიდ უფლებას ანიჭებს დედა-ენას.

დღეიდან კერძო დაწესებულებათა და კერძო პირთ შეუძლიათ დაარსონ, როგორი ტიპისაც კი სურსთ, სასწავლებლები: სამეურნეო, სატეხნიკო, პროფესიონალური, საზოგადო განმანათლებელი და სხ. ნებართვის მოპოვება გადავიღებულია.

აგმვარ სასწავლებლებში სწავლა შიძლება სწარმოებდეს დედა-ენაზე. მხოლოდ რუსული ენისა და რუსული სიტყვიერებისა და ისტორიის სწავლება უნდა სწარმოებდეს რუსულად. მაგრამ საშუალო სასწავლებლის პირველ კლასში და სასწავლებლის პირველ განყოფილებაში რუსულს დედა-ენის საშუალებით უნდა ასწავლიდენ.

ჩვენი მოვალეობაა მოვიხმაროთ დიდი უფლება, რომელიც ამ კანონმა მოგვანიჭა.

წერაკითხვის საზოგადოება უნდა შეუდგეს ახალი ტიპის სასწავლებლის დაარსებას.

უნდა მოვფინოთ ჩვენი ქვეყანა ქართული სახალხო სასწავლებლებით. რუსული ენის სწავლა, როგორც საჯარის, სრულიადაც ვერ შეაფერხებს ეროვნთა განვითარებას. და, ოთ-ელის განმავლობაში რომ მოსწავლე ყველა საგანს ქართულად ისწავლის, ის უფრ ეფექტიანია, განათლებული კაცი შეიქნება.

ამიტომ, საჭიროა, შეეცადოთ ეროვ-ძო სახალხო სასწავლებლის ტიპი და შეეიტანოთ ბუნებისმეტყველება და მეურნეობა. ამისთვის მასწავლებელთა შორის უპირატესობა—აგრონომებსა და ბუნებისმეტყველებს უნდა მივანიჭოთ.

ახლავე უნდა შეადგინოთ ნორმალური წესდება სახალხო კერძო სასწავლებლებისა.

ქალაქის სახალხო შკოლებში მეტი ყურადღება სატეხნიკოსა და პროფესიონალურ განყოფილებათ უნდა მივაპყროთ.

საჭიროა გვქონდეს აგრეთვე ერთი საშუალო ქართული სასწავლებელი, სადაც სწავლა ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს, რადგან, ჯერ ერთი, დედა-ენის საშუალებით უფრო ადვილია სწავლა და განვითარება და, მეორე, ამგვარ სასწავლებელს დიდი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა ექნება. მხოლოდ აქ რუსული ენის სწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს სახელმწიფო ეგზამენების ჩაბარება და ატესტატის აღება. მაშ, აუცილებელია შემუშავდეს ამგვარი სასწავლებლის ნორმალური პროგრამაც.

რაც შეეხება ქართულს უმაღლეს სასწავლებელს, უნდა დაარსდეს შესაფერი ლაბორატორიები, მუზეუმები და სხ. და ამგვარს უმაღლეს სასწავლებელში შეგვიძლია ვასწავლოთ ყოველგვარი მეცნიერება: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ისტორია და სხ. ყველას, ვისაც კი უნარი და ხალისი ექნება. ერთი სიტყვით, უნდა დავაარსოთ ქართული უმაღლესი სახალხო უნივერსიტეტი.

მივმართავთ ინტელლიგენციას. ნუ დაზოგავს ენერგიასა! შესაფერის შრომა ამ დიდს ეროვნულ საქმეს! ყოველის უწინარესად სახელმძღვანელოები გვქონდება. მაგრამ, თუ გული გულობს, ქადა ორი ხელითაც იქმებაო, ნათქვამია. და, თუ მოვინდომებთ, ამ გასაჭირსაც ადვილად შეშველებენ. შეადგენოთ სახელმძღვანელოების მთარგმნელი საზოგადოება—და შეერთებული ძალით სულ მოკლე ხანში აუარებელი ქართული სახელმძღვანელო გვექნება.

მაშ, შეუდგეთ ბარემა საქმეს.

სრულიად ევროპის ომი

დეკპეშები

ᲨᲔᲛᲝᲢ. ᲓᲐᲓ. ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲐᲒᲐᲜ.

მინსკი. 23 აგვისტო. ორი დღის განმავლობაში აქეთ გამოატარეს 130 ეფიცერი და 7000 ტყვე—ავსტრიელი ჯარის კაცი. დაჭრილები აქაურ საავადმყოფოებში მოათავსეს.

კოშენჭაგენი. 22 აგვისტო. გაზეთებმა დაბეჭდეს დიდი მოკარის დებეში და რუსეთის საგენერალო შტაბის სრული ანგარიში. გაზეთებმა მსგავლის ასოებით განსაკუთრებული წერილები უძღვნეს ლვოვის აღებას. „ნაციონალ უტიდ“. აღნიშნავს ლვოვის აღებისა და რუსების გამარჯვების მნიშვნელობას.

ბრუგეში. 22 აგვისტო. ინგლისელებმა მოიყვანეს გერმანელი ლეიტენანტი და მექანიკი, რომლებიც ნახეს ჩრდილო ზღვაში გიდროაეროპლანიდან ჩამოვარდნილნი. წყალში მავალმა ნავმა ყუმბარები მოხსნა და თვით აპარატი დალუბა.

კოშენჭაგენი. 22 აგვისტო. ოფიციალურ ანგარიშში ავსტრიის საგენერალო შტაბი ბოდნიის კიღოთი აღიარებს თავიანთ დამარცხებას, აღნიშნავს მოალერიტოვანობას რუსის ჯარისას და აგრეთვე რუსის ჯარის კაცის მამაცობას.

პეტროგრადი. უმაღლესის ნება დართვით 23 აგვისტის ყველგან უნდა გადახდილ იქმნეს სამადლობელი პარაკლისი ჩვენის სახელოვან მხედრობისაგან ლვოვისა და გალიჩის აღების ვამო.

ლონდონი. 23 აგვისტო. ბეუკდთთ სიტყვის ბიურო აქვეყნებს: საღამოს 11 საათსა და 30 წუთ. საფრანგეთის ბრძოლის ველზე საყურადღებო ცვლილება არ ყოფილა. მოკავშირეთა ჯარებს თავიანთ პოზიციები არ დაუკარგავთ. ცნობებია მოსული, რომ გერმანელები აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიდიან.

ლონდონი. 22 აგვისტო. ბელგიელები მომზდარ მიტინგზე მიღებულ იქმნა ლორდ-მერის რეზოლიუციია, რომელშიაც ნათქვამია: ინგლისი იბრძვის წმინდ სახელმწიფოთა და ხალხის უფლებათა დასაცავად. მიტინგზე დამსწრეებმა განაცხადეს, ჩვენ მხარს დაუჭერთ ასკვიტ მოწოდებას, რათა ომი ჩვენის გამარჯვებით დამთავრდესო.

ტოკიო, 22 აგვისტო. კიოჩიოს მახლობლათ იაპონიის კონტრ-ნაღმოსანი „შიროტაე“ ზღვის ქვეშ მყოფ კლღეს წაეყოდა. ეკიმე მყოფნი გადაარჩინეს.

პეტროგრადი. 23 აგვისტო. იუწყებიან რომ გერმანიის რუსეთთან მოსაზღვერე რაიონებში მრავალი ადგილი დაფენილია ხელოვნურად მოწყობილი დაბრკოლებებით, ადგილ ადგილ გამბეულია ტყლიანი მავთული, ზოგან, საცა კი ბატარეებია; მიწაში ნაღმებია ჩაწყობილი.

მიღებულ ცნობებიდან სჩანს რომ ეიდკუნენი სულ მთლად გადამწყვარა. სტოლუპენენი გადარჩენილა. გუმბინენი ინსტერბურგი, პილკანენი და გოლდაპი ნაკლებათ დაზიანებულნ. ამ ქალაქების დგურების შენობანი თითქმის ყველაფერ გადარჩენილა. მათთან ერთად ჩვენ ხელში ჩაგვივარდა დიდძალი ნაბეშრი და 150 ვაგონზე მეტი სხვა და სხვა საკოჭნელი.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. 22 აგვისტო. ოფიციალურად იუწყებიან, რომ საფრანგეთისა და გერმანიის ჯარების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა გრძელდება. მთელი დღის განმავლობაში მტერს საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ არ უმოქმედნია. ისე, როგორც გუშინ დღესაც გერმანიის ავიატორები თავს იკავებდნენ და პარიზზე არ დაფრინდავდნენ.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲘ. 23 აგვიეტო. აქ მოვიდა მატარებელი და მოიყვანა ათი ეფიცერი და 400 ჯარისკაცი ტყვე-ავსტრიელებისა. ტყვეებს ნიეზნი აგზავნან.

ᲓᲠᲔᲡᲓᲔᲜ. 23 აგვისტო. საღამოთი ინგლისის ჯარის კაცებმა ოაზის ხიდთან შეიპყრეს შვეიცარი ახალგაზდა გერმანელი ქალი. იგი ჯაშუში აღმოჩდა და უკოვეს გემები ყველა ხიდისა და პარიზისკენ მიმავალი გზებისა. გერმანელი ჯაშუში, რომელსაც ინგლისის ჯარისკაცის მუნდირი ეცვა, იმავ დღესვე დახვრიტეს.

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ. როგორც ბერლინიდან იტყობინებიან, იქაურ მწერლებს დაუარსებიათ ეროვნული კავშირი იმ პირობით, რომ არ გადმოსთარგმნონ პიპორდპირეთა ერების მწერლობა და არც განიხილონ ხოლმე მათი ღრამატიული ნაწარმოები.

ლონდონი. 23 აგვისტო. ლურეიკაში ნათქვამია: ფლეგანდელმა ომმა ნათლათ გამოაჩინა უზნეობა პრუსიის ჯარისა. რომლსაც მათ დავამარცხებთ, ევროპაში დადგება ხანა განახლებისა, რომელიც გამოისყიდის ამ ომის მსხვერპლს.

ᲞᲝᲠᲓᲝ. 23 აგვისტო. გამოცხადა სამხედრო სამინისტროსა შემდეგი ცნობა: ჩვენს მარცხენა ფრთაზე, როგორცა სჩანს, მტერი პარიზს ჯერ-ჯერობით თავს ანებებს, რომ განაგრძოს ცდა იმ მიზნით, რომ ჩვენს ჯარს გარსშემოერტყას. მტერი მოვიდა ფორტფსუარრამდე, ბაიარა რეიმსი და არგონის ტყის დასავლეთით დაიწია, მაგრამ ამით ისე, როგორც გუშინ, ნაკლები მოიგეს. ჩვენს მარჯვენა ფრთაზე ლოტარინგიასა და ვოგეზსაზე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. ხან ერთი მხარე იმარჯვებს და ხან მეორე. მობენს მტერმა ზარბაზნებიდან საშინელი სროლა აუტეხა, მაგრამ ისიც მედგათ ეწინააღმდეგება.

ლონდონი. 22 აგვისტო. ოსტენდეს ცნობით, მლოსტომთისა და ტერანდეოს შორის გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს, გერმანელებმა ააფეთქეს რკინის გზის ერთი ნაწილი, რის გამოც ბელგიიდან წამოსული მგზავრები უკანვე დაბრუნდნ. ნინოვის მახლობლათ გერმანელებმა სროლა ატეხეს, რის გამოც მოკლულია ერთი ახალგაზდა ქალი.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. 23 აგვისტო. ოფიციალური. უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბიდან. ლიუნსა და ხოლმისკენ გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. ავსტრიელთა მეათე კორპუსი, რომელსაც ჩვენი ჯარის გარღვევა უნდოდა, უკუქცეულ იქნა. ჩვენები ფეხდადგეს დაედევნენ და ხელთ ჩაიგდეს 5000 ტყვე და საბუთის ქალაღდები, რომელთაც ავსტრიის გენერლები თხოულობენ, საჩქაროთ მოაშველონ გერმანიის ჯარი. ლვოვის სადგურზე მრავალი ვაგონი აღმოჩნდა დატვირთული ძვირფასის საქონლით, სახელდრო სურსათით, სანიტარული მასალითა და ბენზინით. ჩვენი ჯარი შეიპყრა სადგურზე, გადალახეს ავსტრიელები, გაიჩერეს მატარებელ და ხელში ჩაიგდეს სამი ავტომობილი. ლვოვიან აღებული სამხედრო დაკვა ჯერ კიდევ ცნობაში არ არის მოყვანილი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 22 აგვისტო. გოლდ-გოლოში მომზდარ მიტინგზე ასკვიტმა აღნიშნა, გერმანელებმა იმიტომ დაარღვიეს ნეიტრალიტეტი ბელგიისა, რომ დიდი სურვილი აქვთ, გერმანია მთელ ქვეყანას გაუბატონონო. დღეს ინგლისელები იბრძვიან ბელგიის უფლებათა დასაცავად და თავის პირადი სახელის შესანახათ. ორატორი აღფრთოვანებით მოუწოდებს ყველას, მხარი დაუჭირონ ინგლისის განზრახვებს. მან სთქვა: ინგლისის ზღვის იქითა სამფლობელოები და ინდოეთი უგზავნიან ინგლისს თავის ჯარებს, უკვე ჩაეწერა სამი მილიონნი კაცი, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, ამიტომ ორატორი მოუწოდებს ინგლისის მთავრობას—ნუ შეს-წყვეტავს ომში წამსელელთა ჩაწერვას. ბონარალუმ შენიშნა, რომ საკმაო იყო, გერმანიის იმპერატორს ეთქვა ერთი სიტყვა „მშვიდობიანობა“ და ომიც აღარ იქნებოდა, მაგრამ ისინ პირველმა იშიშველა ხმალი და ეს ხმალივე იყოს მისი დამღუპველიო.

ბალფურმა აღნიშნა. ინგლისმა იმიტომ დაიწყო ომი, რომ სახელისა და ინტერესების შესახებ საკითხები განუყოფელიაო. ამას გარდა, ინგლისი იმიტომ ჩაერია, ომში, რომ შეხვედროდა იმ ერს, რომელიც ცდილობს გაძლიერდეს, მაგრამ კი არ იცის, როგორ მოიხმაროს ეს სიძლიერეო. ორატორების სიტყვებს ხალხი აღფრთოვანებული ტაშისცემით ეგებებოდა. მიტინგი ეროვნული ჰიმნის სიმღერით დასრულდა.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. 23 აგვისტო. წითელი ჯვრის უმთავრესსა სამმართველოთ გადასწყვეტა, თავის დაწესებულებებში ბრძოლის ველზე მიღოს ქალი ექიმებიც და დაადგინა, რომ თითოეულ ლაზარეთში უნდა იყოს არა ნაკლებ ორი მამაკაც-ექიმისა. საველე გოსპიტლებშიაც იქნება ორ-ორი ქალი-ექიმი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 22 აგვისტო. პარლამენტის ოპოზიციია ბეკდაკ ისეთ წერილებს, რომლითაც ის მოითხოვს, რომ ბოლგარიამ დაიცვას მტკიცე ნეიტრალიტეტი.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი სხდომა განსაკუთრებულ სათათბიროსი ზოგიერთ ძველ გადასახადების გადიდებისა და ახალი გადასახადის შემოღების შესახებ, თათბირს დაესწრნ სახელმწიფო კანტრალიორი და მინისტრები: გზათა, ვაჭრობისა და მიწათმოქმედებისა. მინისტრთა ამხანაგები: ვაჭრობისა, ფინანსთა და შინაგან საქმეთა, წვერი ფინანსთა სამინისტროს საბჭოისა მიგულინნი. სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს შვიდი წევრი, სახელმწიფო სათათბიროს ცხრა წევრი, სახელმწიფო სათათბიროს საფინანსო განყოფილების უფროსი, უწყებათა წარმომადგენელნი და რიგიბუშნსკი. სამხედრო დროის საპირობათა დასაქმაყოფილებელთ ფინანსთა სამინისტროო საპიროთა სთვლის გადიდებულ იქნას გადასახადები არა მოძრავ ქონებაზე, ქალაქებსა, ბოსადებსა და დაბებში, გადიდებულ იქნას აგრეთვე გადასახადები: სახელმწიფო, ბინისა, მრეწველობისა და კარვებისა. გადიდებულ იქმნას აგრეთვე აქციზი ლუდზე, სვიზე, პაპიროსებზე, დასაწერ ქაღალდზე, გადიდებულ იქნას აგრეთვე ზოგი ერთი საგრბო გადასახადი და ეცესლიდან დაზღვევისათვის. დაედვას განსაკუთრებული გადასახადი მგზავრებსა და რკინის გზით გადასაზიდ ბარგს შემოღებულ იქნას გადასახადი ამ პირებზე, რომლებიც თავისუფალნი არიან სამხედრო ბეგარისაგან.

რამდენიმეთ შეეკვლილ იქნას ერთი პირიდან მეორეზე უსასყიდლოთ გადასულ ქონებათა შესახებ აწ მომქმედი დებულებანი, გადიდებულ იქნას ზოგიერთი საბაჟო ტარიფი და საფუთო გადასახადი.

მინინტრის აზრით ასეთი, გადასახადები სახელმწიფოს მისცემენ 192,420,695 მ. ზედ მეტ შემოსავალს. დასასრულ რკინის გზის ბილეთებზე (ყველა კლასების მგზავრთათვის) დადებული გადასახადი მისცემს ბაზინას 54 მილიონს ზედ მეტს, ხოლო რკინის გზით გადასაზიდ ბარგზე დადებული გადასახადი კი მისცემს 53 მილიონიდან 159 მილიონამდი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 23 აგვისტო. იმ დეკლარაციის ძალით, რომელზედაც ხელი მოაწერეს: გრაფმა ბენკენ-დორფმა, გრეიმ და კომბონმა, რუსეთისა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ურთიერთს შორის შეკავშირდნენ: არ შეკრან ზავი ერთმანეთის დაუკითხავთ დღეიდან ნელ მიმდინარე ომის განმავლობაში. სამთა შეთანხმების კავშირმა დაადგინა. არ განიხილოს ზავის პირობები, რომელიმე მათგანმა, ვიდრე აქ იქნება თანახმა ორი დანარჩენი მოკავშირე.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 23 აგვისტო. კომპინენ სანლის მიდამოები მტერმა დასცალა.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. სამხედრო მთავრობის ცნობით გერმანელები განზე მიიწევს და წინანდებურად გვერდზე სტოვებენ პარიზის სიმაგრეებს, მიდიან რა აღმოსავლეთით.

ᲐᲜᲓᲒᲔᲠᲞᲔᲜᲘ. 23 აგვისტო. გუშინ გერმანელებმა ბრიუსელი დასტოვეს ტ ჩრდილო დასავლეთისაკენ გასწიეს, ალბათ მიზნათ აქვთ მოსწყვეტონ ანტვერპენი ნაპირებს. გზა და გზა დაანგრიეს რკინის გზის სადგური და ბურკენგაზეს ტელეგრაფი, შემდეგ გასწიეს ტერმონდისკენ. მადინთან გერმანელები მოულოდნელათ წაწყდენ სახარელ მსხვერპლს. ბელგიელებს წყალი მიეგდოთ ქალაქისთვის. გერმანელები ცდილობდენ თავი დაღწიონ, როგორც ლვარისათვის, ისე ციხე-სიმაგრეებიდან სროლისათვის და გადაერჩინათ თავისი ზარბაზნები, ტყვეებმლის ყუთებთან ერთად, მაგრამ საშინელი ხარალი კი ნახეს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 23 აგვისტო. საადმირალო იუწყება, რომ გერმანიის ესკადრამ, რომელიც შესდგებოდა ორის კრეისრისა და ოთხის კონტრ-ნაღმოსანისაგან, ჩრდილო ზღვაში დაიჭირა ხუთმეტი ნავი მებადურთა და მებადურნი წაასა ვილჰგელმს-გაფენში, როგორც სამხედრო ტყვეები.

ᲝᲡᲢᲔᲜᲓᲔ. 23 აგვისტო. მალინთან ერთად ქვეყნის ერთს ნაწილს ბელგიის ინჟინრებმა წყალი მიუგდეს. სათადარიგო ჯარისკაცნი იუწყებიან, რომ ქალაქსა და მის მიდამოებს დაადვეს 200 მილიონი ფრანკი კონტრიბუციათ. გერმანიის ჰაეროპლანმა ქალაქ ეკლოს ზევიდან ყუმბარები დიუშინა, მაგრამ ვერა დაავლო, რა შემდეგ გადაფრინდა გენტოს თავზე, ჩამოაგდო ორი ყუმბარა, რომლითაც მხლოდ ქონებრივი ზარალი მიაყენა ქალაქს.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. 22 აგვისტო. ვისლასა და ბუგას შორის ჩვენმა ჯარმა საერთო იერიშის მიტანა დაიწყო. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ჩრდილო ამერიკის შტატების მთავრობამ გამოიწვია თავისი სამხედრო გემები მექსიკის წყლებიდან და თავის ფლოტის უმთავრეს ძალას ატლანტიის ნაპირების ჩრდილო ნაწილში მოუყარა თავი.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. 23 აგვისტო. განათლებისა და სავაჭრო მინისტრებმა, მინისტრთა საბჭოს წინადადება მისცეს გადადებულ იქნეს თანხა კერძო სასწავლებლების სამხედრო სამსახურში გაწეულ მასწავლებელთა ოჯახების დასახმარებლათ.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. 22 აგვისტო. მთავრობის უწყებაში გამოქვეყნებულია ვრცელი მოხსენება გერმანელების არა ადამიანურ და უხეშ მოპყრობის შესახებ რუსებისადმი. გერმანელები არ ინდობდნენ არა თუ მამაკაცებს, არამედ დედაკაცებსა და ბავშვებსაც კი, რომლებიც გერმანიისაგან რუსეთისადმი ომის გამოცხადების დროს რავლათ იყვნენ გერმანიის სხვა და სხვა ადგილებზე, ანუ ბოროტდებულნენ ავსტრიისა, შვეიცარიის და საფრანგეთის ადგილებიდან. ამ მოხსენებით გაზეთი მიმართავს უფლებრივ შეგნებას ყველა განათლებულ ხალხისას და აღნიშნულ ფაქტებს რუსეთის ქვეშევრდომთა მიმართ აღმოაჩენთ ბოძზე გააკრავს გერმანელთა საქციელს, როგორი საქციელიც ჩვენ გვაგონებს საშუალო-საუკუნეობის შავბნელ დროს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 23 აგვისტო. გრადონაჩალნიკმა განკარგულება მოახდინა, რომ მოსკოვის ქალაქის გარეშე არსებულმა თეატრებმა, დიდმა რესტორანებმა, კაფეშანტანებმა და კლუბებმა თავისი შენობები დასთმონ დაჭრილების მოსათავსებლათ.

ᲑᲝᲠᲓᲝ. 23 აგვისტო. ქალაქი მეტათ გაკოცხლდა, რადგანაც მოელიან მთავრობის წევრებს და მრავალ დაწესებულებებს. პარიზიდან ბევრი სამხრეთ-დასავლეთით გადასახლდა.

ᲙᲘᲔᲕᲘ. 23 აგვისტო. ურიცხვი დაჭრილები გადაჰყავთ შიდა გუბერნიებში. მადიარებისა, გერმანელებისა და პოლონელების გარდა ტყვეებს შორის შეხვდებით ბევრს სლოვაკს, იტალიელსა და ებრაელს. ყველას სიმშილის ფერი ადევს და ამბობენ, რომ ათი დღეა ცხელი საჭმელი არ მიუღიათ, ხოლო დატყვევებამდი ორი დღის განმავლობაში სულ არაფერი უჭამიათ რა.

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ. 23 აგვისტო, ოსმალეთის ელჩმა რიფადდეშამ განაცხადა, რომ სამობილიზაციო ზომები. რომელიც ოსმალეთმა მიიღო მხოლოთ ლოგიკური დასკვნა არის ამ რამდენიმე კვირის წინათ ოსმალეთში ოფიციალურათ გამოცხადებულ მობილიზაციისა. მიზეზი მობილიზაციის გამოცხადებისა კი არის თანამედროვე მდგომარეობის დიდმნიშვნელოვანობა. ოსმალეთი ამ ზომებსა ხმარობს მხოლოდ სიფრთხილისათვის და არა ვისიმე მუქარისათვის. რიფად-ფაშამ ამასთანავე დაუმატა, რომ ოსმალები არასოდეს არა სთხოვენ ბოლგარიას, რომ მან გაატაროს ოსმალეთის ჯარები თავის მიწა-წყალზე, ავსტრიელთის მისახტომთან. ამ კვირის განმავლობაში გამოქვეყნდება ოფიციალური განცხადება ოსმალეთის ნეიტრალიტეტის შესახებ.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. 24 აგვისტო. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბიდან.

22 აგვისტოს ავსტრიელებთან ბრძოლის დროს მთელს ფრონტზე წინ წავიწეთ. მტრის ბანაკი მეტათ დაბნეულია. ქრასნოტავიდან დასავლეთ მიდამოში მტრის ჯარები მომზყვდეულნი არიან. ჩვენ დაგვნებდა ავსტრიელების მე-45 პოლკი. დაგვნებდა და ტყვეთ წამოვიყვანეთ პოლკის უფროსი, 44 ეფიცერი და 1600 ჯარისკაცი. გერმანელების ჯარი, რომელიც ავსტრიელებს უნდა მიჰშველებოდა, ვისლას მარცხენა ნაპირებისაკენ დახეულ იქნა. ჩვენი ცხენოსანთა ჯარი იმყოფება კარპატის მთების ულელტეხილზე, სადაც უსდება მცირე შეტაკებები მტერთან.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ. 24 აგვისტო. წითელი ჯვრის საზოგადოებას ნება დართეს, სამხედრო მოქმედების დროს, ფასდაუდებლათ მიიღოს საზღვარგარეთიდან სამკურნალო სანიტარული საგნები. ყაზანის საკრებულო ტაძარში, შეერთებულ სლავიანთა საზოგადოების ინიციატივით, ომში დაბოცილ მეომართა პანაშვიდს შემდეგ, გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი რუსის თავადთა ძველი სატატო ქალაქების: ლვოვისა და გალიჩის აღების გამო.

ᲐᲠᲮᲐᲜᲓᲔᲚᲡᲙᲘ. საფოსტო ორთქლმავლის ბუქსირით აქ მოვიდა წმიდა ფოკის ორთქლმავალი, რომელზეც იყვენ სედოვის ექსპედიციის წევრები. მათ მიეგებენ გუბერნატორი, ქალაქის ბურგომაგდგენლები და აუარებელი ხალხი.

ᲛᲘᲜᲚᲘ. დღე და ღამის განმავლობაში აქ კიდევ მოიყვანეს 1200 ტყვე ავსტრიელი ჯარის კაცი და თან მოიტანეს ბრძოლის დროს წართმეული ბევრი სამხედრო დალვა.

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ. 24 აგვისტო. ვენციიდან დეპეშით იუწყებიან, რომ აქ პრინცი ვიდლტონი მოვიდაო.

ნიში. 23 აგვისტო. აქ მოიტანეს ნაწილი წართმეული ავსტრიის იარაღისა, ბევრი გაიგზავნა კოგუეევაცში და დანარჩენი კი ბელგრადშია.

ბარიზი. 24 აგვისტო. ფიგარო ბეჭდავს პიერის წერილს, მიწერილს ლოტარინგიელ და ენვერ ფაშასთან. მწერალი ამბობს, უარი თქმეფიოს ენვერ ფაშას თავის განზრახვაზე დ. სრულიად ევროპის ომში გერმანიის სასარგებლოთ ბულგარეთის მიღების შესახებ; ურჩევს — ბულგაროს ოსმალეთი იმ მოძალობისაგან, რომელიც მას დაღუპვისაკენ მიიკენებს.

ოდესა. 24 აგვისტო. ავსტრიიდან კონსტანტიეპოლოში მოსული მგზავრები ამბობენ ამ სასტიკ ზომების შესახებ, რომელსაც იჩენდენ ავსტრიელები ჩვენ უცხოელების მიმართ ამ ბრძენ ადგილებ, რომ მცხოვრებლებს სუფთა ა�lat და შიმშილობა დაიწყოვო. რკინის გზის სადგურებზე ჩვენ ვხედავდით ბოგორობისაგან დამშეულთათვის იაფფასიანა და უფასო სასადილოებს

ნიში. 20 აგვისტო, მტერმა ბეოგანინის სიმაღლეებიდან კრაგუეევაცისკენ მოსავალ გზისკენ გაუბიერდან რამდენჯერ-ეს გამოისროლა. ჩერნოგორელებმა გრაფოვასკენ მომართული იერიში მტრისა მოსაგრეს. 23 აგვისტოს ქალ. ვალევევიში თავზე მტრის ჰაეროპლანი გამოჩნდა, ბომბა ქალაქში ორი ყუმბარა. ერთი დაეცა საავთომყოფოს. ზარალი არ მიუყენებია,

კოპენჰაგენი. 23 აგვისტოს ღამით ბერლინიდან გავიდა მატარებელი ოთხასი რუსქეშენერდმით, რომელნიც გერმანიამ გაათავისუფლა.

ბორდო. 24 აგვისტო. ბეჭდვითი ბიუროს ატყობინებენ, რომ ჩვენს მარცხეს მხარეზე გერმანიისა და საფრანგეთის ჯარის ურთიერთა მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. მტრის გარშემორტყმის მოძრაობა საბოლოოთ გადრთხილებულია. ჩვენი ფრონტისა და ბარჯვენა ფრთის ცენტრის მდგომარეობა ლოტარინგიასა და ვოგეზში უცვლელია. პარიზში, სადაც მტერი ძლიერ შორს ადგა, ქალაქის გამაგრებისათვის მუშაობა ენერგიულათ სწარმოებს.

მობეჭდილ ზარბაზნებით გაცხარებული ბრძოლა. სიმაგრე, მიუხედავათ მისი სამი ფორტის დანგრევისა, თავს იფარავს.

ტოკიო. იაპონიის ორმა გიდროპლანმა ციოჩაუს ბომბები ესროლა და უვნებლათ დაბრუნდა.

პეტროგრადი. ოფიციალური. 24 აგვისტო. მინისტრთა საბჭოს მიერ 23 აგვისტოს გამოცემულ ჟურნალის შესახებ, რომელთაც აკრძალულია იმპერიაში ადგილობრივ საჭიროებისათვის სპირტისა, ღვინისა და არაყის გაყიდვა, მინისტრთა თავმჯდომარემ მინისტრთა საბჭოს განუცხადა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა 22 აგვისტოს უმაღლესად კეთილ ინება დაადგინა: სპირტისა, ღვინისა და არაყის წარმოებათა გაყიდვა მთელს იმპერიაში ადგილობრივი საჭიროებისათვის აკრძალულ იქნას სამხედრო დროის დასრულებამდი.

მინისტრთა საბჭომ, მოისმინა რა მოხსენება, აცნობა ფინანსთა მინისტრს, რათა სისულიერნი მოიყვანოს და მოახლინოს შესაფერი განკაოგულებანი. ჟურნალზე ხელს აწერენ მინისტთა თავჯდომარე და მინისტრთა საბჭოს წევრები. შემოწმებულია მინისტრთა საბჭოს საქმეთა მართველის თანამდებობის აღმასრულებელის მიერ.

ბორდო. 24 აგვისტო. გამოცხადდა ბეკერტი, რომლის ძალითაც უნდა შეუდგენ ახლოთ ჯარში გაწვეულთა სწავლას 1914 წ. რიგით. ეს ზომა უნდა განხორციელდეს რამდენიმე თვეში, შედეგ ამათ ადგილს დაიკერენ 1915 წლის ოგით ის ახლათ ჯარში განწვეულნი, რომლებიც იმდენათ იქნებიან შესაფერნი, რომ შეეძლოსთ ბრზოლის ველზე ნაწილობის მიღება.

ბარიზი. 24 აგვისტო. სამხედრო მინისტრი აცხადებს, რომ ჩვენში ჯარი, რომელმაც უნდა დაიცვას პარიზი, პირველ შეხვედ მტრის ძალას, მოხდა მცირე ბეტაკება, რომელიც ჩვენ სასარგებლოთ დასრულა.

კოპენჰაგენი. 21 აგვისტოს გერმანიის ბანკრატიაკა გამეგზავნა დანაკვეს, რათა ოგორც ამბობენ, სულიერად დაცემული მცხოვრებლები გაამხნევოს.

ლონდონი. 24 აგვისტო. ადმირალტეტმა იუწყება, რომ გემოვიელსონი დაჯახა ნაღმს და დაიძირა ნაპირიდან აღმოსავლეთით 40 მილის მანძილზე. ეტყვენ და მეზგავრები, 20 ის გარდა გადარჩენილნ.

პეტროგრადი. 24 აგვისტო. ომში გაწვეულთა ოჯახებისა და დაჭრილთა დამხმარე ორგანიზაციამ ვარშავაში იმ შენობაში, რომელიც ესასყიდლოთ დაუთმო ბაქრის მეკარხნემ, პრეეველსკიმ, გოსპიტალი ეახსნა 200 საწოლით მოწყობილი.

ბანსკი. ესულიერო სემინარიის შენობაში სასულიერო სასწავლებელთა ხარჯით გაიხსნა ლაზარეთი 50 საწოლოთ. ენერგინა მარ. გრიგორის ასულმა შერბატოვისამ შესწირა მთელი ომის განმავლობაში პურისა და ქვაფის ფქვილი 25 საწოლის ყველა ომში გაწვეულთა ოჯახის დასახმარებლათ.

ბოტანეკი. გუბერნატორის მოწოდებით ბოლტავის ვაჭრებმა შესწირეს ომში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ 7242 მან. სხვადასხვა მაზრის ზოგიერთმა სოფლის საზოგადოებამ შესწირა 15,2503.

სახლის პატრონებმა, ბორეკომა და რაიონებმა, წითელი ჯვრის საჭიროებისათვის უსასყიდლოთ დაუთმეს დიდი შენობები. შეერთებული ბანკის პოლტავის განყოფილებამ ომის საჭიროებისათვის 2500 მან. შესწირა.

საკითხი ქუთაისის სასულიერო სემინარიის შესახებ.

ნეტარ ხსენებული ეპისკოპოსი გაბრიელი დიდი ხნიდან ცდილობდა ქუთაისში სასულიერო სემინარია დაეარსებია. ამ საგანზე განსვენებულმა ბეკრჯერ აღძრა სათანადო მთავრობასთან ჯეროვანი შუამდგომლობა, მაგრამ ყოველთვის უარს ეუბნებოდენ; ბოლოს როგორც იყო ღრმა მობუცებულობაში მოესწრო განსვენებული ამ მიზნის განხორციელებას 1894 წელს ქუთაისში დაარსდა სასულიერო სემინარია იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიის სამღვდელოთა შვილების აღსაზრდელათ, თუმცა ფაქტიურად სემინარიას ვიწრო წოდებრივი ხასიათი არც უწონ ქონია და არც ახლა აქვს. სემინარიაში საერო წოდების შვილებიც იზრდებიან. ქუთაისში სემინარიის არსებობა ბევრი მხრით იყო სასარგებლო ყველისათვის და კერძოთ ქალაქისათვის. სამწუხაროთ, ქუთაისის სემინარია დღენაკლული გამოდგა და ცხრა წლის შემდეგ დაიკეტა. სურვილი სემინარიის დაკეტისა დაებადა მთავრობას მაშინ, როდესაც საერთო არეულობა იყო სემინარიაში და ორმა შეუგნებელმა პირმა თავხედობა ჩაიდინა. ამგვარ სურვილს ხელი შეუწყო ზოგიერთმა დროებითმა გარემოებამ და, მართლაც, მიუხედავათ თავდაზნაურობის, ქალაქისა და სამღვდელოების წარმომადგენელთა თხოვნისა. მთავრობამ ქუთაისის სემინარია გაათავა. ქუთაისის სემინარიის დაკეტას ბევრი საზარალო შედეგი მოყვა: მრავალი უმწეო მოწაფე დარჩა სასწავლებლის გარეშე, სამღვდელოებას გაუძნელდა ეკლესიის აღზრდა, სამშობლო ეკლესიას მოაკლდა შეტ-ოდენი კანდიტატები, ქალაქს მოაკლდა საშვალო სასწავლებელი და ამით ერთგვარი შემოსავალი დაკარგა, ერთი სიტყვით ზარალი ყოველ მხრივ ბევრი იყო და სარგებლობა კი არაფისთვის.

ღღეს ქუთაისის სემინარიის გახსნის შესახებ საკითხი ხელახლა აღიძრა. ყოველად სამღვდელო ეპისკოპოზს გიორგის ამ საკანზე მოლაპარაკება ქონდა საქართველოს ეგზარხოს მაღალ ყოველად სამღვდელო პიტირიმთან, რომლის აზრიც ისაა, რომ მოკლე დროში ქუთაისში სემინარია გაიხსნას. ამის გამო ყოველად სამღვდელო გიორგი ქალაქის საბჭოს შეეკითხა, თუ რა მონაწილეობა შეუძლია მას მიიღოს ამ საქმეში. უპირველესად საჭიროა ადგილი, რაც შეიძლება ვრცელი, სადაც მთავრობამ უნდა ააშენოს სემინარიისთვის შენობა. უწმინდეს სინოდს აქვს ნაყიდი ადგილი საფიჩხიაზე (ბარაზოვის ბაღად წოდებული) სივრცით 3,000 კვ. საჟენი, მაგრამ ეს ადგილი მიუხედავათ ყოველგვარი ღირსებისა, სინოდს არ მიანნია საკმაოდ. მართლაც, ახალი გეგმით სადაც შენდება სემინარია, იქვე განზრახულია პანსიონი, ბაღი, მასწავლებელთა ბინები, ავბანო და სხვა ოჯახო მოწყობილება, ასე, რომ დიდი ადგილია ხოლმე საჭირო. მთავრობა მზათ არის სემინარიის შენობა ქალაქს გარეთ, განაპირას ააშენოს, თუ კი ეს მოსახრებელი იქნება, ამიტომაც ქალაქის საბჭო ძლიერ კარგს ინებებს საღორიის ტყეში მთავრობას ადგილი მისცეს და ნაკეთად საფირჩხიის ადგილი ჩამოართვას, რომელიც ქალაქისთვის ბევრნაირთ საჭიროა. საზოგადოთ, ქუთაისში სემინარიის გახსნის საკმეს ქალაქის საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს, როგორც საერგებელო საკმეს.

საღორიის ტყეში რომ სემინარიის შენობა აგგოს, ქალაქის ადგილებს ფასი შესამჩნევათ მოემატება და ეს ერთი საიმედო წყარო იქნება ქალაქის შემოსავლისთვის. თანაც ქალაქში მოძრაობა მოიმატებს; ასი ათასი მანათი—საბრუნავი თანხა წლიურად აქ ატრიალებს.

სასურველია, რომ ქალაქის საბჭომ ეს საკითხი კარგათ აწონდაწონოს და საერგებლოთ გადასწყვიტოს.

სასულიერო მთავრობა რომ შეეკითხოს დაბეს, მაგ. ხონს ან ზესტაფონს, არც ერთი არ დაიშურებს საკმაო ადგილს უფასოთ დათმობას, მაგრამ ეს ქუთაისისთვის უხერხულიც იქნება და საზარალოც.

ტრიფონ ჯაფარიძე.

ბრესა.

ომში გაწვეულ ქართველ ჯარის კაცთა ოჯახების დახმარება მთავარი ზნეობრივი მოვალეობაა ქართველის საზოგადოებისა. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ქალაქის თვითმართველობებმა და თავად აზნაურთა კრებამ გადასდგეს. როგორც დტყობა დახმარების აზრი ფართო საზოგადოებაში და თვით სოფლებშიაც იკის რებს ფეხს. ასეთ მაგალითს წარმოადგენ- კახეთიდან მოსული ცნობა, ომის შესახებ, რომ სასოფლო ყრილობებსაც გადაუწყვეტიათ უმწეოდ დარჩენილ ოჯახების დახმარება.

ამის შესახებ „სახალხო ფურცელი" სწერს:

ღღეევანდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ კახეთში სასოფლო საზოგადოებათა ყრილობებზე დაუდგენიათ, სასოფლო ძალონით გაუკეთონ საქმე იმ ოჯახებს, სადაც სათადარიგო ჯარისკაცნი გაიწვიეს. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ამ სამაგალითო დადგენილებას მიმმაძეველები არ გამოუჩნდენ. ძნელი წარმოსადგენია, რანაირ გაჭირვებაში შეიძლება ჩავრდეს განსაკუთრებით ზოგიერთი ოჯახი. ბეერგან ოჯახს ერთად ერთი მარჩენელი მოაკლდა. სოფლებში კი ჯერ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. დასაბინავებელია ქირნახული, მოსავლელია ვენახები. შეიძლება სულ ერთთანად გაუფუქსავტდეს ადამიანს წლის ნამუშევარი თუ მამულს დროზე მშველელი და მზრუნველი ხელი არ გაუჩნდა. ჩვენში ამბობენ, სოფელი ღონიერია. მართალიც არის. დიდი რამ შეუძლიან სოფლის მცხოვრებთა შეკავშირებულ ძალას. ჩვენ სრული იმედი გვაქვს რომ ჩვენს ხალხში ჯერ კიდევ ჰფეთქავს დაუშრეტელი წყარო მოყვასის თანაგრძნობისა, გაჭირვებული მომძის გატანისა. არა ერთი და ორი ოჯახი დარჩებოდა სოფლის ანაბარად თვითეული სოფლის ზნეობრივ ვალდებულებას შემდგენს ძმური, მეგობრული ხელი გაუწოდოს ასეთ ოჯახებს, ნამდვილი ქართველური მეზობლობა გაუწიოს და ისე მოაწყოს საქმე, რომ უპატრონოდ დარჩენილ ოჯახს ძმიმე დანაკლისი არც კი აგრძნობინოს.

ქართველთა კაცი ბუნებით გულკეთილია. მან ჩვეულებრივ დროსაც კი იცის მეზობლის გატანა და დახმარება ეხლანდელი პირობებში ხომ ერთი ორად უნდა გაღვივდეს მისი გრძნობა მეზობლობისა. დაე, წმინდა მოვალეობამ მოყვასისადმი სიყვარულის ერთის გრძნობით შეაერთოს ყველა ქართველი და გაუფდეროს ტკივრთი ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახებს.

დიდი მოვალეობა აწევს სოფლის ყველა შეგნებულ ელემენტს. მათს პირადს გამრჯელობასა და თაოსნობას ბევრი რამ შეეძლიან. ყველა ვალდებულია ხალხს დაუახლოოდეს, მიიღოს ზომები და გააკეთოს საქმე, რომელსაც ავალებს წმინდა მოქალაქობრივი ვალდებულება,

იმედი კახეთ სოფლთა მაგალითს ბეერი მიჰბაძავს. მძიმეა ეხლანდელი დრო. რამდენადაც მძიმეა იგი, იმდენად მეტს შრომასა და გამრჯელობას მოითხოვს ჩვენგან.

მაშ დაუახლოოდით ხალხს, დახმარება აღმოუჩინეთ!

გენერალისსიმუსი ჟოფფრი.

როცა გენერალი ჟოფფრი საფრანგეთის ჯარების გენერალისსიმუსად დაინშნა, სამხედრო მინისტრმა ერთ ინგლისელ კორესპოდენტს უთხრა:

— გაიწმენდეთ, მე რომ ეხლა ავტომობილში ჩავჯდე და ჩვენი ჯარების სამოქმედო ადგილში მივიდე გენერალ ჟოფფრის დაკვითხვაად, დაუყონებლივ გამომგდებს იქიდან.

მინისტრის ამ სიტყვებში, არამც თუ არ იყო გულნატკენობა, სიამაყეც კი გამოსჭყიოოდა. ასეთი სული მეფობს ეხლა საფრანგეთში. და გენერალი ჟოფფრიც, საფრანგეთის ჯარების გენერალისსიმუსად სწორეთ მიტომ არის არჩეული, რომ მან იცის, როგორც უნდა ისარგებლოს კაცმა ამ მორჩილობით.

ჟოფფრი იმ აზრისაა, რომ რაკი ომი დაიწყო, არავითარ კერძო სამსახურს, არავითარ პოლიტიკას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. საფრანგეთის ჯარების მოქმედების სამზღვრებში — იგი სრული ბატონ-პატრონი უნდა იყოს. თავის დიდ ადგილს იგი მუდამ დაუთმობს სხვას, თუ ეს საჭიროთ იქმნება საქმისთვის, მაგრამ ვიღრე უმაღლესი უფლება მის ხელშია, არც უფლებას და არც მოვალეობას არავის არ გაუყოფს.

1870 წელში რომ საფრანგეთს ჯარებს უმფროსად ჟოფფრი ჰყოლოდა,—გერმანელები ვერ გაიმარჯვებდნენ. ჟოფფრი, როგორც ინგლისელი ლორდი კიტჩენერი, იმდენად სულის ჩამბერვი არ არის გამარჯვებისა, რამდენადაც მომწყობი. ჟოფფრს არა სწამს ჰენიალობის მნიშვნელობა. მან იცის, რო საჭიროა ხანგრძლივი და ფრთხილი მომზადება. უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში, ვიდრე იგი საფრანგეთის ჯარებს სათავეში უდგა, მას ერთი წუთითაც არ დავიწყნია ის მიზანი, რომელიც მას დაუყენეს წინ—მოემზადებინა საფრანგეთი დიდის ბრძოლისთვის, იმ ბრძოლისთვის რომელიც სწარმოებს ღღეს.

ჟოფფრი ქარმაგი, სრული ფრანგია, ტიპიური ფრანგი ბურჟუა. ცხოვრებითაც ისე ცხოვრობს, როგორც ტიპიური პარიზელი ბურჟუა—თავის ცოლით და ქალებით. მისი ოჯახი—ჩვეულებრივი, მხიარული და გულღია ოჯახია, და თუ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს, მხოლოდ თავის სიწყნარით. გენერალი ჟოფფრი, უპირველესად ყოვლისა, წყნარი ცხოვრების კაცია. მას განიერ შუბლს, გრუხა ჭაღარით შემკულს—ნაოჭი არ აქვს შეკრული. ლურჯი თვალები ენგბას მოკლებულნი და ნათელნი არიან. თეთრ ულვაშებ ქვეშ ბაეენი მშვიდროთ არიან ერთმანეთზე მიკრულნი.

საზოგადოთ ნაკლებს ლაპარაკობს. მას ბავშობიდან განსაკუთრებული ნიჭი აქვს ცოტა ლაპარაკისა. მაგრამ ისეთ შთაბეჭდილებას კი არ ახდენს, თითქოს სათქმელი არა ჰქონდეს რა. პირიქით, მუდამ გრძნობთ, რომ სდუმს იმიტომ, რომ ბევრი ფიქრი სჭირია—ძალიან ბევრი ფიქრი. ამიტომ როცა ის ლაპარაკობს—მისი ნათქვამი მოკლეა, მოსწრებული, საკითხის თვით არსებაში ჩახედული: სულ რამდენიმე პირდაპირი და წყნარი ფრაზა, რომელიც შეიცავს დიდი ხნის ნაფიქრს. არავითარი მჭერმეტყველება, არავითარი ელვარება.

ჟოფფრს აღეფრთხილნი, კეთილი, წყნარი და ჩაფიქრებული მოძრაობა ახასიათებს. ასეთია ის თავის სახლში.

მაგრამ როგორც ბანაკში, აგრეთვე სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში, იგი სულ სხვა, მტკიცე ადამიანია, მისი ბრძანება საჩქაროთ უნდა იქნეს შესრულებული. ერთი წუთით დაგვიანება უკვე რისხვას გამოიწვევს, დამნაშავე ეცოდება — მაგრამ სასტიკათ კი სჯის დამნაშავეებს. გასულ აღლუმების შემდეგ 5 გენერალი დაითხოვა განუმარტებლათ.

ასეთი განსაკუთრებული ადამიანის კარიერა განსაკუთრებულივე იყო. როცა 1870 წლ. საფრანგეთ გერმანიის ომი გამოცხადდა, მას სამხედრო აკადემიის პირველი კურსი ქონდა დამთავრებული. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 18 წლისა იყო, სუბალტერნი ოფიცრად იქნ. ჩარიცხული და პარიზის დაცვაში მიიღო მონაწილეობა. ყურადღება მიიკცია ომისგათავებისთანავე პარიზის სამაგრეების აღდგენის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. ენგიენის ფორტები ჯოფფრის ნახატებით იქმნა აშენებული. როცა მარშალ მაკ-მაგონმა ენგიენის საცეხოვნო მუშაობა დაათვალიერა, ჰაბუკ ჟოფფრს მხოლოდ ხელი დაადო და უთხრა:

— მომილოცავს, კაპიტანო ჟოფფრ.

კაპიტანი ნი ოცდა ორის წლისა!

მის საომშენებელო ნიჭის გამომხეველებას ის მოყვა, რომ ახალგაზდა ჟოფფრი პონტარლიეში გაგზავნეს ინჟინერიის ბოზზეზე. ჟოფფრი წინ აღუდგა.

— კი, მაგრამ მე არ მეშინია ჩემი სიცოცხლე სიმაგრეების შენებას შეეწირო. მე მსურს [illegible] სიკვდილ-სიკვდილ.

მართლაც ამის შემდეგ ჟოფფრი ჯარში გადავიდა და ერთი მეორეზე დაჰყო ტონკინში, ფორმოზაზე, მადაგასკარზე, დაგომეაში და დასასრულ ტიმბუქტუში. ამ ადგილებში იგი მუდამ ეჭიდებიდენ ბის უმფროსად ინიშნებოდა და მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა. საფრანგეთში 90 წლებში დაბრუნდა და ელვივ განაგრძობდა თავის სარბიელზე მუშაობას, ვიდრე 1911 წელს საფრანგეთის ჯარების მთავარსარდალთ არ დაინიშნა.

ჟოფფრი ამტკიცებს, რომ საბედრო ჰენია საფრანგეთისა ისევე დიდია, როგორც მუდამ. სიმხნეევ და სიმამაცე ისევ მეფობს საფრანგეთში, და ყოველი ფრანგი მოვალეა ისარგებლოს ამ თვისებებით.

რედაქციისაგან.

გაზეთ „ზრამის" 26 ნომერში ნათქვამია: „იმერეთის" კანტორის გამგე დ. დარახველიძეს, რედაქციასთან უთანხმოების გამო, სამსახური მიატოვა".

საჭიროთ ვსთვლით განვაცხადოთ, რომ გ. დარახველიძე მსახურებდა კანტორაში, დათხოვნილია კანტორიდან, არავითარი კავშირი არ ჰქონია რედაქციასთან და მისი წასვლა ყოველად შეუძლებელია რედაქციასთან „უთანხმოებით" იოხსნა.

ჩვენ ერთითვნუბეარი, რომ „ზრამის" რედაქცია შეცდომაში შეუყვანია გ. დარახველიძეს, ხოლო მეორეს მხრივ, გვაკვირვებს ამავე რედაქციის საქციელი: რა დასაბეჭდი იყო ასეთი ცნობა. რამდენი მოსამსახურე ამა თუ იმ რედაქციაში მიიღება თუ დაითხოვება, ყველას შესახებ რომ იწერებოდეს, მაშინ გაზეთები მხოლოთ მათ კაპარიზებს დასჭირდება.

ქუთაისი

ახალი ამბები.

ელისაბედ პავლეს ასულის სოფლევანაშვილის ქალთა ოთხკლასიან კერძო პროგიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყო 21 აგვისტოდან.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვიდან.

✦ სამოსწავლო მთავრობის ნებართვით ნინო გრიგოლის ასული ...ფერაშვილისა პირველი სეკტემბრიდან ქუთაისში ხანის მესამე ხარისხის სკოლას, რომელსაც მიზნათ ექნება მოამზადოს ორთავე სქესის ბავშვები სხვა და სხვა სასწავლებელში.

✦ ქუთაისის სოლოქა სასამართლოს უფროსი თავმჯდომარე ბ-ნი ფედოროვი პეტროგრადიდან უკვე დაბრუნდა.

✦ დეპუტატთა საკრებულოს მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს, გადასდგან თავის ჯამაგირიდან რამდენიმე პროცენტი ომის საჭიროებისათვის.

✦ სასულიერო სასწავლებელში მისაღები და ხელმეორე გამოცდები უკვე დაიწყო.

✦ თავად-აზნაურთა კრებამ გადასწყვიტა, გადასდვას სათავად-აზნაურო ბანკის ძირითადი თანხიდან 10000 მანათი ომის საჭიროებისათვის.

✦ შაბათს, 23 აგვისტოს, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის თავმჯდომარეობით, ქუთაისის ქალაქის გამგეობაში შესდგა ქალთა წრის კრება ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებელ საზოგადოების დასაარსებლათ.

✦ 24 აგვისტოს ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან გაანთავისუფლეს ამას წინათ გაზ. „ აზრის" რედაქციაში დაპატიმრებული პირები: სტ. გ. ფალავა, სტ. დ. ჩხეიძე, გ. ქუჩიშვილი, ალ. რუხაძე და ასოთ ამწყობი ხუციშვილი, მაგრამ გუბერნატორმა მათ გამოუცხადა, რომ ქუთაისის გუბერნიის გაშორდენ. მათ კიდევ ერთი კვირის ნება აქვთ აქ დარჩენისა.

✦ 24 აგვისტოს თავად-აზნაურთა კრებაზე თ. აზნაურთა კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩიეს თავ. დ. ო. ნიეგრაძე. წევრებათ: თავ. მ. გ. ფალიკა, ზ. კ. მაჭავარიანი თავ. ი. დ. გელოვანი, გრ. კ. ალშიბაია თავ. ს. გ. მიქელაძე, თავ. დ. ნ. ლორთქიფანიძე, ი. გ. კეფულარია, ვლ. ზ. ჩაჩიბაია და ვ. ლ. ქუთათელაძე.

ამ კომიტეტს ეყოლება თავისი აგენტები, რომელთაც უნდა ჩამოიაროს სოფლები და შეადგინოს ცნობები, თუ ვინ რა მდგომარეობაში იმყოფება. აგრეთვე გუბერნიის ყველა მაზრებში შესდგება სამაზრო კომიტეტი.

✦ 1 სექტემბერს ქუთაისში თფილისს სამოსამართლო პალატა გაიჩენს ბაზ. „ჩვენი ერის" რედაქტორის სერგო გერსამიას მესამე საქმეს. იგი ისჯება 129 მუხლის ძალით.

✦ ქუთაისის საბანაო გიმნაზიაში ხელ მეორე ეგზამენები დაიწყება 28 აგვისტოდან. სწავლა კი პირველი სექტემბრიდან.

✦ გუშინ, 25 აგვისტოს, ქალაქის გამგეობაში მიწეული იყვნენ ომში გაწეულთა ოჯახების დამხმარე კომიტეტის წევრები.

✦ 27 აგვისტოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა არტემ ნიკოლაიშვილისა პიმენ ფიჩხაძისა და პავლე ჩუბინიძის საქმე.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა 14 აგვისტოს მწვანე ბაზარში ოქმი შეუდგინა დანიელ ელიგულაშვილსა და მოშიაშვილს ვაჭრობის წესრიგის დარღვევისათვის.

✦ ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ კორძაიამ გელათის პუჩაზე ოქმი შეუდგინა სამასონ ძოწენიძეს ვაჭრობის წეს-რიგის დარღვევისათვის.

✦ ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში ხელმეორე და მესაღები გამოცდები გუშინ 25 აგვისტოდან, დაიწყო. სწავლა-კი ჩვეულებრივად პირველი სექტემბრიდან დაიწყებაო.

✦ 10 აგვისტოს სოფელ ქვედა-ხუნწში (სენაკის მაზრა) ადგილობრივმა მღვდელმა იულონ ოსიძემ წირვის შემდეგ აუხსნა ხალხს მიზეზი და ძნშვნელობა ეხლანდელი ომისა, შემდეგ გარდახდილ იქნა, მრავალი ხალხის თანდასწრებით პარაკლისი, რათა რუსეთის მხედრობას მიენიჭოს გამარჯვება. ხალხმა მუხლ-მოდრეკით მოისმინა პარაკლისი და გათავებისას ერთხმით უსურვა მეფეს და მხედრობას მტერზე გამარჯვება.

ამ სოფელში ზშირა წვიმებისა გამო მოსავალს ძლიერ ცუდი პირი უჩანს, ასე რომ მომავალ წლისთვის დიდი სიმშილი მოელის.

შეცდომის გასწორება.

„იმერთის" 137 ნუმერში მოთავსებულ ლადო ბზვანელის წერილში შემდეგი შეცდომები შეგვეპარა: პირველ სვეტში, სადაც ნათქვამია **„აქ ერსებობს სახალხო სამინისტრო სკოლა სულ ორიოდე საზოგადოებაში"** შემდეგ გამორჩენილია ერთი წინადადება, სადაც უნდა ეწეროს **„დანარჩენი ზუთი საზოგადოება კი მოგლეშულია"** და სხვა... მეორე სვეტში სწერია: **„ეროვლად სამდგომლო იმერეთის მაშინდელმა ეპისკოპოსმა ლეონიდემ შესწირა ამ კეთილ საქმისათვის ოცი თუ ოცდა ათი თუმანი"** უნდა ეწეროს **„ოცი თუ ოცდა ათი მანეთი"**.

თფილისი.

— **საქართველოს ეგზარხოსი** პატრარქი დღეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარს დაათვალიერებს.

სამხედრო წესები.

უმაღლეს ბრძანებით კავკასიაში სამხედრო წესები გამოცხადდა. მეფის მოადგილემ განმარტა, რომ ამ საგანგებო წესების შემოღება საჭიროდ იქმნა აღიარებული იმისთვის, რომ კერძო პირებმა მორჩილს საქკეელით საფრთხე არ მიაყენონ სახელმწიფო შშვიდობიანობას და საზოგადო ცხოვრების წესიერ მიმდინარეობას. სამხედრო დროის კანონით დასჯიან შემდეგ დანაშაულთათვის: 1) უმაღლეს მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებისა და სახელმწიფო ღალატისათვის, 2) ბრძოლის მოედანზე ტელეფონისა, ტელეგრაფისა, ხიდებისა, წყალსადენებისა, ჯვარებისა, აუზებისა, ქებისა და გზების განზრახ გაფუჭებისათვის, 3) განზრახ ცეცხლის გაჩენისა და ომის დროს გამოსადეგ საგნების მოსპობისათვის და 4) სამხედრო უარაულზე თავდაცემისა და პოლიციისადმი იარაღით წინააღმდეგობის გაწევისათვის. სამხედრო სასამართლოს გადაეცემა აგრეთვე ყაჩაღ-ძმაცველთა საქმეები.

— გამოვიდა ქართულად გამოცემული წიგნი „ბოკლე სახელმძღვანელო ამერიკულ ვაზის ძირზე ვენახების გაშენებისა კავკასიაში". წიგნი შედგენილია ა. მ. დემენტიევის მიერ და ქართულად გამოუცია მევენახეობისა და მეღვინეობის ტფილისის საგუბერნიო კომიტეტს. წიგნი სადაა და მდაბიო ხალხისათვის ადვილად გასაგებ ენით არის თარგმნილი, შეიცავს 25 გვერდს და ხალხს უფასოდ დაურიგდება.

— ორშაბათს, 25 აგვისტოს, ახალი კლუბის საზაფხულო თეატრში დანიშნულია ბენეფისი საოპერო მომღერალის ვანო სარაჯიშვილისა. სარაჯიშვილი სხვათა შორის იმღერებს ქართულად რომანსებს კომპოზიტორი არაყიშვილის ნაწარმოებიდან.

— **ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტმა** დაადგინა, წინადადება მისცეს თავის ძველ ხაზინადარს, დაუყოვნებლივ შეავსოს დანაკლისი—7000 მან.

ამავე კომიტეტის დადგენილებით ქართულ გიმნაზიის ის მასწავლებელნი, რომელთაც უმაღლესი სწავლა არა აქვთ დასრულებული და საგიმნაზიო კლასებში ასწავლიან, მოსამზადებელ კლასებში უნდა გადავიდნენ მასწავლებლად, ხოლო იმ მასწავლებელმა, რომელთა უმაღლესი სწავლა დასრულებული აქვთ, მაგრამ მასწავლებლის წოდება არა აქვთ, სამსახურს სრულიად უნდა დაანებონ თავი.

— **რეგოდგენათ თავი მოიკლა** თელავის მაზრის სოფელ იყალთოში პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტმა თ-დმა სერგო მაყაშვილმა. მიზეზი გამოურკვეველია.

დამაკვირდი.

ერთს ბრძენსა ჰკითხეს: „ოფიი გიმარჯვებს, თუ კაცია". ბრძენმა უპასუხა: „საერთაშორისო ომი რომ კიდევ გაგრძელდეს, მომაკაცებთან ერთად საქალეთიც ამოვარდება. დარჩება მხოლოდ გამარჯვებულ მეომართა ნაწილი, რომელიც აღარე თუ გვიან დაბერდებიან და თავისთავად დაიხოცებიანო. მომავალ ახალთაობაზე ფიქრიც-კი შეუძლებელია, რადგანაც ქალები აღარ ვეყოყლნებიან, მაშასადამე დარჩება მარტო თოფ-ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველი."

კითხვა: რა უფრ. მძიმეა, სიკვდილი თუ სიცოცხლე?

პასუხი: სიკვდილი მძიმეა წონით და სიცოცხლე-კი ტანჯვითა. **სან-ტარი.**

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

კვირას, 24 აგვისტოს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში შესდგა ქუთაისის გუბ. თავ.-აზნაურთა საგანგებო კრება. კრებას თავად-აზნაურობა გუბერნიის ყოველივე კუთხიდან დაესწრო.

დარბაზი მშვენივრათ იყო მორთული ბაირაღებითა და მწვანე შტოებით, მარჯვნივ, კედელზე გაკეთებული იყო მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის დიდი სურათი, რომელიც შეემკოთ ცოცხალი ყვავილებითა და ბაყერდით.

კრების გახსნამდის უნდა გადაეხადათ პარაკლისი, რომელზედაც მოწვეული იყო ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ვენტაცელი.

თავ. დ. ო. ნიეარაძემ თავად-აზნაურობას დაახლოვებით შემდეგი სიტყვით მიმართა:

„აზნაურებო! ჩვენი პატარა სამშობლო, საქართველო, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, თავის ნებით შეუერთდა რუსეთსა; იქიდან დაწყებული ყოველი ქართველი ერთგულებას იჩენდა ტახტისა და მეფისადმი; ყველა ვეჯაკურთათ ეკვეთოდა მტერს და თავის მამაცობას აშკარად ჰყოფდა. ახლაც, როცა მოგვადგა საერთო მტერი, ასე გვმართებს. ყველა ქართველი სულიერათ უნდა შეეიარაღოდეთ და საერთო სამშობლოს—რუსეთის—მტერს შედგრათ—ვეკვეთნეთ. ახლა კი ჩვენი მეფე და სამშობლო ღმერთს შეევედროთ, რომ მას გამარჯვება მიანიჭოს".

თავ. ნიეარაძის სიტყვებზე დარბაზში გაისმა ხანგრძლივი „ეგაშა" ძახილი.

ამას შემდეგ დეკ. ი. ამეანაძემ პარაკლისი გადაიხადა, რათა რუსეთს გამარჯვება მიეჩიოს. პარაკლისის გადახდის შემდეგ ბ-ნი ვენტაცელი თავად-აზნაურობას მადლობით განშორდა.

კრება გაიხსნა დღის პირველ საათზე ქუთ. გუბერნიის თავ. აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ო. ნიეარაძის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარემ კრებას მოახსენა 22 აგვისტოს დეპუტატებისა და მარშლების გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც საადგილ-მამულო ბანკის ძირითადი თანხიდან გადადებულ უნდა იქნეს 10,000 მანათი. აქედან უნდა გაეგზავნოს 1) მოსკოვის გუბერნიის თავ. აზ. წინამძღოლს. როგორც წითელი ჯვარის თავმჯდომარეს, 5,000 მანათი; 2) 1,500 მანათი უნდა გაეგზავნოს კავკასიის ჯარის კაცთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს გრაფინიას ვარანცოვ-დაშკოვისას; 3) 1000 მანათი უნდა გადაეცეს აღგილობრივ საგუბერნო კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთ. გუბერნატორს ლ. ნ. პოტულოვს და 4) 2500 მანათი უნდა ინახებოდეს თავ. აზნაურთა კასაში. თავად-აზნაურთა საგუბერნო კომიტეტის გადასაცემათ კრებამ შეწირულება ერთხმათ მიიღო.

შემდეგ ავმჯდომარემ წაიკითხა მოსკოვის გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლის წერილი, რომელიც მოითხოვდა ერთი რწმუნებულის გაგზავნას მოსკოვში, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს დაჭილთა გადაყვან-გადმოყვანის საქმე. რწმუნებულათ აირჩიეს თავადი როსტომ წერეთელი და კანდიდატათ ბ. ი. ნ. თულაშვილი.

ბოლოს თ-აზ. კრებამ აირჩია თავად-აზნაურთა კომიტეტის თავმჯდომარეთ: თავადი დ. ნიეარაძე. კომიტეტის წევრებათ: თავ. მ. გ. ფალავა, ზ. კ. მაჭავარიანი. თავ. ი. დ. გელოვანი, გრ. კ. ალშიბაია. თავ. ს. გ. მიქელაძე, თავ. დ. ნ. ლორთქიფანიძე, თავ. ს. ლორთქიფანიძე, ი. გ. კემულარია, ვ. ზ. ჩაჩიბაია და პოლ. ვ. ლ ქუთათელაძე.

კომიტეტის სხდომა დანიშნეს 25 აგვისტოსთვის.

კრებაზე გამოითქვა აგრეთვე აზრი, რომ ჩვენ მოგვეცეს შეიარაღების ნება, რომ მტერს ყველა ერთათ შევებრძოლოთო. თავად-აზნაურობამ თავ. დ. ო. ნიეარაძეს მიანდო, რომ ამის შესავებ შუამდგომლობა აღძრას სადაც ჯერ არს.

ნაკ რა.

„შრომის დეპეშების" შესახებ ჩემი წერილის მცირე შესწორება.

„შრომისტები" შემოსულან „იმერეთის" რედაქციაში და განუცხადებიათ:

1) ჩვენს დეპეშებს, გამოსულს 15 აგვისტოს, ქუთაისშიაც და პროვინციაშიაც 15 აგვისტოსავე თარიღი ჰქონდა და არა თექვსმეტისა.

ჩემი პასუხი: მე იმას კი არ ვამბობდი, რომ მაინცადამაინც 15 აგვისტოს დეპეშებს ჰქონდა 16 აგვისტოს თარიღიმეთქი, არამედ იმას, რომ რამდენსამე ხანს ქუთაისის დეპეშებს ერთი დღის თარიღი ჰქონდა, პროვინციისას კი—მეორე დღისა, 15 და 16 აგვისტო მხოლოდ შემთხვევით, მაგალითად, განსამარტებლად მოვიყვანე, და „შრომის" რედაქციას სრულიად ვერ გაამართლებს ის, რომ ამგვარ უწესობას ჩადიოდა არა 15 აგვისტს, არამედ უფრო წინად.

2) „შრომის" 22 აგვისტოს საღამოს დეპეშებში ლვოვის აღება იყოო.

ჩემი პასუხი: ჩემი შეცდომა აქ მხოლოდ ზერელია, უმნიშვნელოა. სამწუხაროდ დღის დეპეშების მაგიერად შეცდომით საღამოს დეპეშები აღენიშნე. მაგრამ „შრომის" 22 აგვისტოს დღის დეპეშებში არაფერი არ არის იმ დიდი ბრძოლის შესახებ, რომელიც მოხ. ლვოვთან და დასჯულდა ავსტრიელების საშინელი დამარცხებით. „იმერეთის" იმავე თარიღის დღის დეპეშებში კი დაწვრილებით აღნიშნულია ეს ცნობები.

ერთი სიტყვით, ის, რაც საღამოს დეპეშების შესახებ უნდა მეთქვა, დღის დეპეშებს შეეხებოდა, ეს არის მხოლოდ ჩემი შეცდომა. მაგრამ ეს „შრომას" სრულიადაც ვერ გაამართლებს. ფაქტი ფაქტად რჩება. მტკიცდება, რომ „შრომის" 22 აგვისტოს დღის დეპეშები მხოლოდ ნაწილია „იმერეთის" იმავე თარიღის დღის დეპეშებისა, ე. ი. „შრომას" აგვიანებს დეპეშების ბეჭდვა.

რატომ? ცხადია, მიტომ, რომ „დილის" დეპეშები წინადღეს ღამით, რაც შეიძლება, ადრე გამოუშვას და ადრე გაასაღოს. მაშ აქ საქმე მოსწრებაზეა!

მაგრამ, ცხადია, ეს მოუტევებელი, შეუწყნარებელი საქციელია, რადგან დილის დეპეშებისაგან მკითხველი მოითხოვს ყველა დეპეშას, რომელიც ღამის 11—12 საათამდის მაინც მოსდის.

ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებდით, „შრომას" რომ სისტემად არ გაეხადა ეს უწესოება. აიღეთ, მაგალითად, 24 აგვისტოს „შრომის" დილის დეპეშები. იქ არაფერი არ არის ეიდკუნდეენის, სტოლეტეგნის, გუმბინენენის და სხ. ამბების შესახებ, რასაც „იმერეთის" იმავე დღის დილის დეპეშებში ვეითხულობთ.

ამიტომ, ნურაფერს უკაცრავად, თუ ამგვარ უწესოებას კვლავაც აღენიშნავთ. *).

მკითხველი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ეს პატარა წერილი მოათავსოთ თქვენს გაზეთში.

სწორეთ რომ საკვირველია სვირელ კორესპონდენტ „ინ-ჯანის" ყოფა-ქცევა, რომელმაც სვირის სამკითხველოს შესახებ წერილი მოათავსა გაზეთ „იმერეთში" № 136). მე ვერ წარმომიდგენია, თუ ნარი უსირცხვილო ტყუილს კაცი ჯერ გამოიგონებდა და მერმე იმასაც გაზეთში დაბეჭდავდა.

ვინაიდან ბ-ნ „ინ-ჯანის" წერილი მტკნარი სიცრუეა და ქვენა გრძნობებით არის გამოწვეული, ვიფიქრ[illegible] [illegible] დიტორო სამართალში*).

ბ. ჯ[illegible].

*) რედაქციის [illegible] ეროვ[illegible] [illegible] [illegible] [